

შინაური საქმეებში.

№ 6.

✎ ყოველ-კვირული გაზეთი ✎

ფასი ერთი შაური
ფლიური ფასი 4 მან.
წელიწადი მეხუთე.

კვირა, 19 თებერვალი 1912 წელი.

ინაარსი: 1) სიონში ნინოობას 1912 წ.— ეპ. დავითისა; 2) მოციხესენათ სახელოვანი ქვეყნის მოკირნახულენი—ხელისა; 3) მგზავრის შენიშვნები—ხომლელისა; 4) ბესარიონ ლოლობერიძის დამარხვაზე—დევ. თალაქვაძისა; 5) ამპარტავენება და მრისხანება—ა. ბერისა; 6) ეპ. გერმოვენის ექსორიაობის აღგილი; 7) კვირიდამ-კვირამდე; 8) წერილი ივერიის მონასტრის გამო ათონში; 9) რას გვწერენ? ა) სამეგრელოს სამღვდ. რწმუნებულთა კრება—კ. წუთისთფელელისა. ბ) გურიის სამღვდლოების რწმუნებულთა კრება. გ) ხონის მაცხოვრის სამრევლო სკოლა. დ) წერილი რედაქციისადმი—ი. კაპანაძესი.

|| მიიღება ხელის მოწერა ||

1912 წლისათვის

(ყოველ-კვირულ გაზეთ)

შინაურ საქმეებში.

გაზეთის ფასი:

წლიურათ — 4 მანეთი ეუკლეგან || სამი თვით — 1 მანეთი.
ნახევარი წლით 2 მანეთი. || ერთი თვით — 2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შემოტანა წლიურ ხელის მომწერთათვის შეიძლება ასე განაწილდეს: თავიდან 2 მანეთი და 1 ივნისს 2 მანეთი.
განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტიტით სტრიქონი ორი შაური. უკანასკნელზე 7 კ.

სიონში ნინოებს 1912 წ.

ხედავდა წმ. ნინო ქართველთ ერსა, სულიერ წყვდიადში მყოფსა, მსახურსა კერპების წინაშე მცხეთის მახლობლად და სულთითქმინდა, სტიროდა.

დღესაც მწუხარეა წმ. ნინო! სწუხს იგი, რომ ახლანდელი ქართველობა არ ცხადპყოფს, არ იჩენს იმ მხურვალე სიყვარულს იესო ქრისტესადმი, რომლითაც განირჩეოდნენ, განთქმულნი იყვნენ უუძველესნი ქართველნი.

სწუხს იგი, რომ ქართველობა ძალიან ნაკლებად დაიარება ეკლესიაში ლოცვა-ვედრების აღსავლენად ღვთისადმი. აი დღესაც, აბა თვალი გადაავლეთ აქ მდგომარეთა: ვინ უფრო მეტია, ქართველნი თუ უცხოელები? განა ასე უნდა იყოს? თფილისის მთელ ქართველობას, ნასწავლს და უსწავლელსა დიდებულსა და მდაბალსა აქ თავი უნდა მოეყარა, რომ იმათგან ტყვა არ ყოფილიყო.

სწუხს წმ. ნინო, რომ ჩვენში თითქმის შესწყდა მაცხოვრის დიდების-მეტყველება სამშობლო ენაზე, ღალატება ღვთისადმი სულის ამამაღლებელ, გულის დამატკობელ დამამშვიდებელ წმინდა ქართული ვალოებითა. სირცხვილი არ არის ქართველებისათვის, რომ ამ წმიდა და დიდებულ ტაძარში, რომელიც გვაკავშირებს უუძველეს მამაპაპების ბრწყინვალე ცხოვრებასთან, გვაერთებს სახელოვან წინაპრებთან, აღარ ისმის ქართული ვალოება! ქართველებს რომ ჰქონდეთ ნამდვილი ეროვნული შეგნება, მაშინ უსათუოდ იმათ წრიდან გამოვიდოდნენ ისეთნი პირნი, რომელნიც დიდის სიამოვნებითა და ხალისით შეიკრიბებოდნენ აქა საღიღებლად და მშობლიურ ტაძარში ბილი ხმითა.

სწუხს წმ. ნინო, რომ მრავალნი მშვენიერი ტაძარნი, რომლებს ნაშენობას აღტაცებაში მოჰყავს ნასწავლნი უცხო-

ელნიც კი, რომლებიც მოწმობენ საქართველოს ძველ დიდებასა, დღეს ჩვენ მიერ სრულიად მიტოვებულია, არ ვზრუნავთ მათ დაცვაზე, პირიქით კიდევაც ხელს ვუწყობთ მათ დანგრევასა, მოსპობასა.

სწუხს წმ. ნინო, რომ ჩვენ იმისი დიადი ღვაწლი, იმისი მოტიქულებრივი შრომა-ქადაგება დაევიწყეთ და მას ჯეროვანად არ ვიხსენებთ; არასოდეს არ ვნახულობთ იმ წმ. ადგილებს, სადაც იგი ცხოვრობდა, სადაც მან განისვენა. აბა რამდენი ჩვენთაგანი ყოფილა მცხეთაში იმის მაყულოვან ბუჩქთანა, ან ბოდბეში იმის საფლავთანა? აბა რამდენი ქართველი იქნება დღეს სალოცავად იმ წმ. ადგილებში?

სწუხს წმ. ნინო, რომ ჩვენ ჩვენის დაუდევრობისა და შორს-გაუმკვრეტელობით ხელიდან გვეცლება მამაპაპების მიერ აღშენებული ტაძრები. ჩვენ იქ არ დავიარებთ, სხვები კი ერთგულად დაიარებან, და ბოლოს პატრონობა იქ იმათ რჩებათ. ჩვენ მხოლოდ ცარიელ სიტყვებს ვისვრით, გავიძახით: „ეკლესიები მამაპაპეულები არის“. ხომ ვხედავთ, რომ ამისთანა საბუთს გასავალი არ აქვს! არა სჯობია, რეალური საბუთი წინ წამოვაცენოთ, სახელდობრ, ვიაროთ ეკლესიაში ბლომად, ყოველკვირა უქმე დღეს, რომ შიგ თავისუფალი ადგილი არ დარჩეს? და ამ გვარად ჩვენი ეკლესიები ჩვენვე დაგვრჩება სამუდამოდ.

ღიაღ, მწუხარეა წმ. ნინო, რომ ხედავს ჩვენ უნუგეშო მდგომარეობას. რა გვეშველება, ძმანო? როდემდის ვიქნებით ასე უბედურები?

როცა ქართველი ერი თაყვანსა სცემდა, აქებ-ადიდებდა კერპებს, მაშინ წმ. ნინო განშორებით იდგა და ხელებაღბრობილი ღმერთსა, ევედრებოდა ეხსნა, გამოეყვანა ქართველი ერი სიბნელისაგან, გაეუმჯობესებია იმისი სარწმუნოე-

ბრივი და ზნეობრივი მდგომარეობა. გაათავა მან ლოცვა, და უცბად გამოჩნდა შავი ღრუბელი, ასტყდა საშინელი ქუჩილი, დაჰბერა სასტიკმა ქარმა, და შეშინებული ხალხი მიმოიფანტა. მოვიდა რკინისებრი სეტყვა და კერპები შემუსრა. ასე მოისპო საკერპო, განათლდა ქართველი ერი ქრისტეს ნათელითა. და გაიხარა წმ. ნინომ.

ვინ იცის, ძმანო, იქნება ერთ დროს ჩვენ ანუ უკეთ ჩვენ შვილისშვილების ცხოვრებაში იელვოს, იქუხოს, ამოვარდეს ქარიშხალი, — და ქართველთა მდგომარეობაში ძირითადი სასიკეთო ცვლილება მოხდეს, ქართველთა გაუთაკეცდეს, გაუძლიერდეს სიყვარული ღვთისადმი, იწყონ მათ დენა ეკლესიებში, აავსონ არა მარტო ეხლანდელი ეკლესიები, არამედ მიტოვებული, გავერანებული ძველი ტაძრებიც და მონასტრები; ისევ განახლდეს დაკარგული ძველი დიდება და მნიშვნელობა მცხეთის ტაძრის, და საქართველოს ყველა ეკლესიებიდან ზეცას აღვიდეს საამური ხმები ქართულ გალობისა, და ამ ხმებმა განაღონ ბქენი ცათანი, იქ გამოსჩნდეს მხიარული წმ. ნინო, მან იქიდან გადმოსძახოს ქართველობას: „გიხაროდეთ, ქართველნო, დღეს დიდება უფლისა თქვენზედა გამობრწყინდა!“ და ჩვენც საფლავში გავიხარებთ. ღმერთო, მოწყალე გვექმენ და ჰყავ ესე!

ეპისკოპოსი ღვთის.

მოციქულთა სხსელთაგან ქვეყნის მოჭინნახსკლენი.

მოსკოვმა 17 თებერვალს პატრიარხ გერმოგენის მოწამებრივი სიკვდილის 300 წლისთავის ხსენება შეასრულა და ამით გულითადი პატივისცა თავის სახელოვან შვილს, რომელმაც ამ სამასი წლის წინათ თავი შესწირა საყვარელ მამულს. ეს ის გერმოგენი იყო, რომელმაც მთელი რუსეთი შესძრა თავის გრამატებით, რომელშიდაც სიხოვდა მართლმადიდებელ ხალხს მოშვლები და მოსკოვს, რომელსაც პოლონელები შემოესიენ და აიწროებდენ. რუსეთმა ხმა გამოსცა თავის მწყემსმთავარს. ერთი მისი ასეთი გრამატათაგანი საუცხოვო კეთილ ნიადაგზე დაეარდა. ნოვგოროდიდან მინინისა და პაჟარსკის ხელმძღვანელობით დაინძრა ეროვნული ლაშქარი, რომელიც გამოეშურა მოსკოვის, ამ რუსეთის გულის, გამოსახსნელად. ამ დროს პოლონელები მიადგენ გერმოგენს და მოითხოვენ, რომ მას დათხოვინს გრამატა გაეგზავნა მინინისა და პაჟარსკისათვის, მაგრამ ნაცვლად ამისა მან აკურთხა მომავალი ლაშქარი, რისთვისაც იგი შიმშილით მოკლეს ერთ-ერთ ცივ სარდაფში.

ერი მანამ ერობს, სანამ თავის წარსულთან კავშირს არ სწყვეტს, სანამ იგი თავის გარდაცვალებულ სახელოვან შვილებთან ერთობას არ შლის. როცა ასეთი ერთობა შესწყდება, როცა მყოფთა და მიცვალეულთა შორის კავშირი მოისპობა, მაშინ ერიც მოსპობილია. აქიდგან, ვისაც სურს ეროვნება შეინახოს, დღემუდამ უნდა აღვივებდეს ხალხში დიდებულ წინაპართა ხსოვნას თუ სიტყვით, თუ წერილობით და თუ მათ სახელობაზე დღესასწაულობის გამართვით. ცოცხალ მოღვაწეთა იუბილე იმდენათ ვერ გაშლის, ვერ აღაფრთოვანებს ხალხის ეროვნულ გრძობას, რამდენათაც ძლევამოსილ და დიდსულოვან წინაპართა სახელობაზე დღესასწაულობა.

ამ ერთი თვის წინათ ჩვენ პრესაში საკითხი აღიძრა, თუ როგორ ვიდღესასწაულოთ მეფე თამარის შეიდასი წლის გარდაცვალების წლისთავი, რომელიც სრულდება ამ 1912 წლის მაისის თვეში. ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია და ამაზე ფიქრი და სამზადისი ტყვილა დროს დაკარგვა არ იქნება. რამდენათაც ვიცით, ამ საკითხზე მხოლოდ თფილისმა ამოიღო ხმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ხოლო სხვა ქალაქებს, მით უფრო დაბა-სოფლებს კრინტიც არ დაუძრავთ, დრო კია ხმაც ამოიღონ და საჭირო სამზადისსაც შეუდგენ.

რაც შეეხება სამღვდლოებას, ის ხომ სათავეში უნა ჩაუდგეს ამ საქმეს. თამარი მისთვის მხოლოდ ძლევა-მოსილი მეფე არ არის, იგი საქართველოს სამოთხის ერთი თვალსაჩინო წარმომდგენელია, რომლის მფარველობას, ჩვენ მაინც, ჩვენ სამღვდლოება, მუდამ დღეს უნდა გამოვიტხოვდეთ და ყოველ წელიწადს მის სახელის ხსენებას უნდა განვასხვავებდეთ შესაფერი წირვა-ლოცვით, ქადაგებით და სახალხო კითხვების გამართვით.

ჩვენი რედაქცია სიამოვნებით მიიღებს და დასტამბავს ყოველ ცნობას და მოსახრებას აღძრულ საკითხის შესახებ. ამასთანავე რედაქცია სთხოვს მკოდნე პირებს მიაწოდონ თამარის ცხოვრების აღწერილობა მისი სათნო და ღვთისნიერი თვისებებით შემკობილი სახალხო გამოცემისათვის. ვეცდებით ასეთი გამოცემა მუქათა გაავრცელოთ ხალხში.

მეზაქრის შენიშვნები.

ახლად აღმოჩენილ წყაროებით თანდათან მტკიცდება, თუმცა ჯერ კიდევ მეცნიერულად დასაბუთებული არ არის კარგად, რომ ქართველობა არიებზე და სემიტელებზე უფრო ადრე ყოფილა გამოსული ასპარეზზე და დასახლებული მთელი მკირე აზიასა, მიდიასა, მესოპოტამიასა და კავკასიის არე-მარეზე და თვისი კულტურა მას გადაუცია მაშინდელ ძველ ხალხებისთვის. ამ პრაქტიკულ რიცხოვან ქართველთა წინაპრებს სულ ეული, ველური ხალხები ერთყა გარშემო და მათ შორის რამდენიმე ათასი წელიწადი გაგრძელდა უსაშინლესი სისხლის ღვრა და ბრძოლა, რომელსაც შედეგად ის მოყვა, რომ ქართველების წინაპრები, როგორც კულტურით დაწინაურებულნი, მიწის მუშანი, მშვიდობიანი მშრომელნი დაამარცხეს ეულმა ცხენოსანმა, მწყემსმა, მეჯოგე, მაგრამ მერმარმა ხალხებმა, მკირე აზიის სამხრეთიდან თანდათან ძლიერად მოაწვა ეს ურდო და ქართველობა წასწია ჩრდილოეთისკენ, ჩაკეტა კავკასიის მთების ხეობებში, პონტის და კასპიის ზღვებს შუა მდებარე ადგილებში.

ამ ადგილებშიაც მან შესძლო ღონიერად ფრთების გაშლა, დაიწყო ახალი წარმატებული ცხოვრება, რომელიც უკავშირდებოდა ფინიკელთა, ეგვიპტელების და შემდეგ ელინთა ცივილიზაციის. მთელი ეს ძველი კოლხიდის მდიდარი არე-მარენი ბერძენთა ახალშენებით იყო მოფენილი და აქ იმათი დიდი და მდიდარი რესპუბლიკები ყვაოდნენ. აქ დიდ სავაჭრო და სამრეწველო ქალაქებში იმ დროის ცხოვრება დულდა და გადმოდიოდა. აქ კოლხიდის მდიდარს ნიადაგზე ძველი ქართლოსიანთა ერის წინაპრთა ზეგავლენით ჩაიყარა საძირკველი დიდი სულიერი და ნივთიერი კულტურისა, რომელმაც უკვდავების სული ჩაბერა ბერძენთა ცივილიზაციის. საბერძენეთის მითოლოგია, რელიგია, ისტორია, ფილოსოფია, პოეზია, ხელოვნება, ვაჭრობა, მრეწველობა, ყოველივე ის, რითაც ამაყობს ელინთა ქვეყანა, ჩაისახა და გაჩნდა აქ, ამ ღვთისგან კურთხეულს, მაღლიანს ადგილებში და, მერე, ამ ადგილებიდან, ბერძენების მეოხებით, იგი კულტურა და ცივილიზაცია მოედვა რომის დიდ იმპერიას, ევროპის ზღვასა და ხმელეთს, მთელს კაცობრიობას და, ამნაირად, ჩვენმა ქვეყანამ მთელს ქვეყნიერობას დასდო დიდი ღვაწლი და მიანიჭა უსაზღვრო სარგებლობა და მაღლი...

საღამოს ხუთ საათზე მივედით სოხუმში და სადილათაც დაგვირეკეს. ძალიან კადვი სადილიც გვაქამეს. არაყი, წვანილი, თევზები, კალბასები, ყველი, თოლხოთ მოხარშული კვერცხები, წვნიანი კერძი, მერე შემწვარი ძროხის ხორცი და ზუთხი, ბოლოს ხილი და ყავა. სოხუმს ბოლაზი არა აქვს და გემები ნაპირს ვერ ადგებიან. ამიტომაც, ცოტა მოშორებით გააჩერეს გემი. ზღვის ზედა პირზე მოსრიალე ნავეებმა ბევრი პასაჟირები შეგვმატეს, მაგრამ ბევრიც გემიდან გადასხეს სოხუმში.

სოხუმში განთქმული ქალაქია მთელს რუსეთის იმპერიაში, როგორც საუკეთესო კლიმატიური სადგური ფილტვებით დასუსტებულთათვის. სოხუმში ერთადერთი კურორტია ჩვენში საკუთრად ტუბერკულით დაავადებულთათვის, რომელიც შექმნა და მოაწყო პრო-

ფესორმა ოსტროვნიკმა. აქ არის დიდად ზომიერი, თფილი ჰავა, ქარის სახსენებელი სულ არ არის, თფილი, სასიამო ზამთარი იცის და მუდმივ აყვავილებულ-ამწვანებულ მცენარეთა სიუხვე რუსეთიდან იზიდავს ურიცხვს ავთომყოფს. ტუბერკულით დასნეულებულებს ავთომყოფობის პირველ და მეორე სტადიის დროს სოხუმში თამამად აგზავნიან და სნეულნი, თავს თუ მკურნალთა დარიგებისა მებრ მოუვლიან, მიუცილებლად დიდ გაუმჯობესობასაც იგრძნობენ აქ. სოხუმი — ეს ნამდვილი ცოცხალ ვარდების და ყვავილთა შორის გაშენებული ქალაქია, მაგრამ ამავე დროს მას სიკვდილის ქალაქის სახელიც უნდა ვუწოდო. ეს ქალაქი ნამდვილ სასაფლაოს უმდიდრეს ძეგლს მოაგონებს ადამიანს, რომელიც (ქალაქი) მრავალფეროვან, საუცხოვო ცოცხალ ყვავილებს თვალის მომხიბლველად შეუმოს-შეუმკია...

სოხუმში არის რამდენიმე კარგად მომართული სანატორია ფილტვებით დასნეულებულთა და ტუბერკულინით დაავითმყოფებულთათვისაც. რამდენად მდიდარი და შვენიერია ბუნება სოხუმში, იმდენად, თურმე, როგორც მითხრეს, ქალაქი მოუწყობელია და მოუწყობელი იქ ცხოვრება.

სოხუმს ახლოს, ზღვის პირად მდებარე ახალი ათონია, გემით სამი საათის სასიარულოა იქამდის. ამ ადგილზე მთელ რუსეთში განთქმული მართლმადიდებელთა მონასტერია გაშენებული, სადაც ნამდვილ ამერიკული ენერჯია და მუშაობაა გამართული. აქ შენობებიც კარგია და ბაღიც მდიდარი.

ახალ ათონთან ახლოს არის გუდაუთი, რომელიც ზღვაში საბანაოდ საუკეთესო ადგილია და აგრეთვე კლიმატიური კურორტიც, სადაც იკურნებიან ავთომყოფნი და ბევრ მოგზაურსაც იზიდავს იგი. აქედან იწყება ზღვის პირად მდებარე ძველი აფხაზეთის დაცემული ვაკე ადგილები, რომელიც დასახლებულია მხიარულ, სიკოცხლით სავსე ჩვენი ნათესავი აფხაზების მჭიდრო სოფლებით, რომელნიც სულ ერთიანად ბაღებსა და ხეხილებში ყვინთავენ.

სოხუმის ოლქის მდიდარს, საოცარს ბუნებას აფხაზეთი, რომელიც ჩვენ სახელოვან დიდ მეფეს, ვახტანგ გორგასლანს საბერძნეთის (ბიზანტიის) იმპერატორმა ლეონმა მზითვად მისცა, როცა თვისი ქალი ელენე ცოლად მიათხოვა მას, დღეინდელს ქვეყნის შვილს ვერაფერს შველის და აფხაზი დღეს ძალიან დიდ სიღარიბეს და სისაწყლეს განიცდის. რა არის ამის მიზეზი? რა თქმა უნდა, აქ პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზები მუშაობენ, მაგრამ გაუნათლებლობას მაინც თლად დაუკრებია, მიწასთან გაუსწორებია დღეინდელი აფხაზი. იგი ჩვენ, ქართველებს ვეღარც კი გვეცნობს მაშინ, როდესაც ჩვენი ჭირი და ლხინი ძველად განუყრელი, საერთო იყო და ბევრი სიკეთე აფხაზებისგან ჩვენ ქართველებს მიგვიღია და შეგვითვისებია... აქედან, აფხაზეთიდან გაძლიერდა მთელ საქართველოში საქვეყნოდ სახელგანთქმული, შესანიშნავი ღინასტია ბაგრატიონებისა, რომელთაც სასახელოდ აწარმოეს ქართველთა ისტორია მაშინდელ დროის და ადგილის მიხედვით და თანახმად... ქრისტიანობაც ხომ აქედან დაიწყო...

დღეს აფხაზეთით აღარც აფხაზი სარგებლობს, აღარც სხვა ვინმე საქართველოს შვილი. ამ ედემს დღეს დაპატრონებია ათასი უცხოელი, უფრო ბერძენი და სომეხი, რომელთა თუთუნის პლანტაციები კაცს აკვირებენ თვისი სიმდიდრით და სიუხვით. ამ ბედნიერ არკადიიდან ყოველ წელიწადს ერთ მილიონზე მეტი ფუთი თამბაქო გააქვთ, სხვები მდიდრდებიან და აფხაზები კი ტყავდებიან და ღარიბდებიან. ამ საწყლების განათლებისთვის, თვალის ახელისთვის, მათ მეურნობის გაუმჯობესობისთვის კაცი არ ზრუნავს ქვეყანაზე და არიან ასე წყვდიადში ჩამარხულნი და ჩვენგან მოწყვეტილნი. ბევრმა ქართველმა მამულიშვილმა გულით მოიწადინა ჩვენი ძმების — აფხაზების სამსახური, დახმარება, მათთვის თავდაუზოგველი მუშაობა, მაგრამ „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“ ისინი უკვალოდ დაიღუპენ და მას აქეთ არის საქმე ასე გულსაკლავად ერთ წერტილზე გაჩერებული...

სოხუმიდან ზღვაზე პატარა ფურთენა აგ-

ვიტყდა, რომელსაც ჩემზე არ უმოქმედნია. მე გამოცდილებით ვიცი, რომ ჩემზე პატარა ფურთვნა კი არა, დიდი ღელვაც არ მოქმედობს. მე შუალამედის პალუბას არ მოვცილებივარ. შვენიერ გუნებაზე დამაყენა ზღვაზე მოგზაურობამ. ზღვის ზომიერი ჰაერა რაღაც მკვდრეთით აღმდგენელ სიცოცხლეს და ენერჯიას უმატებს კაცის არსებას. დიდი სიფხიზლე და სიმკვირცხლე ემატება კაცს და ხდები მეტისმეტად ფხიზელი და მოძრავი. იქნება ეს არის მიზეზიც, რომ დასავლეთის საქართველოს შვილი როგორც შავი ზღვის პირად მდებარე ქვეყნის მკვიდრი, უფრო ფხიზელი და მოძრავია, ვიდრე ამერიელი?! გინდა სულ პალუბაზე ისე იზრდო, იარო, ილაპარაკო, იკითხო და ძილი არ გეკარება, სანამ ძალიან არ დაიღლები.

სლამო მეტად დიადი და შვენიერია პალუბაზე. ორთქლმავალი გემის უშველებელს მოყვანილობას და ტანს რიტმიულად გააქვს ხმაურობა, მანქანის ხრიალი მოგაგონებს ხერინვის ზღაპრულ გველეშაპისას. ეს საოცნებოდ გადაწმენდილია. აქა იქ ვარსკვლავებიც გამოჩნდნენ და მთელი ხარისხი საესე მთვარისა პირდაპირ თავზე დაგტქერის. ბრწყინვალე დიადი მზე ზღვაში ჩასრიალდა და ირგვლივ გამეფდა საესე მთვარის სინათლე. მთვარის სინათლეზე ცხადად კიდევ ჩანს ფართე ნაკადული, რომელიც თეთრ ლენტად მოჰყვება გემის განაველებ კვალს. გემი შეუპოვრად მიიპობს ზვირთებს და მის დატყებაზე ზღვას მიიქვს ყურთასმენის დამატკობბელი შრიალ-შრიალი...

ხომლელი.

(შემდეგი იქნება.)

ს ი ტ ყ ვ ა

წარმოთქმული ნიკოლოზ ბესარიონის-
დე ლოღობერიძის სამარეზე დაკრძალვის
დღეს.

წარსული 1911 წელი ვერ იყო ჩვენთვის
ბედნიერი! მის განმავლობაში ჩვენს სამშობ-

ლოს ზედი-ზედ გადაეღო თვისი სახელოვანი
მომვლელ-პატრონი და გულშემატკივარი!

ჯერ იყო და გლოვის ზარი გაისმა ჩვენი
ქვეყნის კიდით-კიდემდე იშვიათ მამულიშვილის
და ადამიანის დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვი-
ლის გარდაცვალების გამო. ამ დაკარგვის გა-
მო ჯერ ცრემლი არ შეშრობოდა ქართველო-
ბას, რომ უწყალო სიკვდილმა გამოგვითოა დი-
დად ნაჭირნახულევი და ქვეყნის მოამაგე ნი-
კოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძე!

ახლა ამ ორ მამულიშვილთა სიკიბო გზი-
საკენ ვისტუმრებთ მცხოვან საზოგადო მოღვა-
წეს, აგრეთვე ფრიად დამაშვრალს, დაუღალავ
მუშაკს და ქველმოქმედს ნიკოლოზ ბესარიონ-
ის ძე ლოღობერიძეს.

ამ ცოტა ხნის წინეთ, როდესაც ნიკო-
ლოზ ზებედეს ძის საფლავზე ორმოცი დღის
ხსენება შევასრულეთ და თან დაუვიწყარ და-
ვით ზაქარიას ძეც მოვიხსენეთ, განსვენებული
ნიკოლოზ ლოღობერიძე აქვე თავს დასტრია-
ლებდა თვის გულწრფელ მეგობართა საფლა-
ვებს და ჩვენთან ერთად იზიარებდა საყოველ-
თაო მწუხარებას!

თვის ახოვან წარმოსადგე შეხედულობით
მოხუცი იპყრობდა საყოველთაო ყურადღებას.
ყველანი შევეყურებდით მას რაღაც განუსაზღვ-
რელ პატივისცემით და იმედებით. ის ჩვენ და-
სახული გვყავდა ქვეყნის მამა-მთავრად, ქირი-
სუფლად და პატრონად. დაობლებულნი, —მა-
გივით-ლა ვნუგეშობდით!

დღეს კი ამ ჩვენს მოამაგე ნუგეშსაც ვით-
ხოვებით და მისს მეგობართა გვერდზე ვასამა-
რებთ? წარსული წლის მწუხარება ახალ წელ-
შიაც თან გადმოგვყვა! ამ სახით — არ გვშორ-
დება მწუხარება და ქირი!

განსვენებულ ნიკოლოზ ლოღობერიძის
მოღვაწეობა ჩვენში ყველასათვის ცნობილია!
მისი ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობის ას-
პარეზი იყო ფართო და მრავალ-ფეროვანი.

ის იყო ევროპიულად განათლებული დვი-
ძლი შვილი თვისი ერისა! ის იყო თანამოხზა-
რე და მხურვალე მონაწილე ყოველივე კულ-
ტურულ მუშაობისა ჩვენში! ის იყო საქმია-

ნობის მიმდევარი, თაოსანი, ბეჯითი, დარბაისელი, ზედმიწევნით პატიოსანი, სათნოებით აღსავე ქრისტიანე, უანგარო, უხვი ქველ-მოქმედი!

მამობრივ მზრუნველობით პატრონობდა ის ხელ-მოკლე ახალ-თაობას. აძლევდა მას სწავლებას სწავლა-განათლების მისაღებად. რათა მოპოებულ ცოდნით შეიარაღებულნი დაბრუნებოდნენ დაბეჩავებულ სამშობლოს და მის სამსახურისათვის შეეღიათ თავიანთი ძალღონე!

სიკვდილის პირადაც განსვენებული არ ივიწყებს ამ დიად თვისებას მოსიყვარულე სულისას. ის ამ მიზნისათვის სტოებს წ. პ. მ. საზოგადოების განკარგულებაში კი ძალა თანხას! ის ამ საზოგადოების ერთი დამფუძნებელთაგანი იყო!

მან არ მოაკლო თვისი განათლებული და მამულიშვილური მზრუნველობა არც სხვა დაწესებულებებს ჩვენში და მათ შორის განსაკუთრებით, ჯერ კიდევ ნორჩს, მაგრამ უკვე სასიქადულო, ეთნოგრაფიულ საზოგადოებას.

ისეთი პიროვნება, როგორც იყო განსვენებული, ფასდაუდებელია ჩვენთვის. განსვენებული მთელი მისი არსებით და საკუთარ მაგალითებით მოგვიწოდებს ძმანო, შეთანხმებულ, მოქმედებისათვის ჩვენი ქვეყნის ათას კირ-ვარამისგან შესამსუბუქებლად.

ასეთი პიროვნება თვისი მადლიანი სახით და მოქმედებით საუკეთესო მასწავლებელია დაქსაქსულ ჩვენ მოძმეთა გაერთიანებისა და შედუღება-შეკავშირებისა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ და ასაღორძინებლად.

მაშ, ვისწავლოთ, ძმანო, განსვენებულ ნ. ლოლაბერიძისაგან ესე ვითარი სიკეთე და შიო გაგახაროთ სული მისი!

აქვე, მის კუბოსთან, შევევედროთ ჩვენს სასო ლეთისმშობელს, რათა მან დედობრივის მზრუნველობით მოჰხედოს თვის წილხდომილ ქვეყანას ნუ გამოგვილიოს ისეთი თავდადებული, უანგარო მუშაკი და სათნო ქრის-

ტიანე, როგორც იყო დაუფიწყარი ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლაბერიძე.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილო ადამიანო!

დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი

დვ. ნ. თალაქვაძე.

ამპარტაენება და მრისხანება.

ამპარტაენება სულიერი სწეულობაა, რომელიც წამლავს ადამიანის სულიერ ღირსებას. ეს უსაშინელესი მტერია ადამიანისა. დიდი ენება მოაქვს ამ გარეწარად ადამიანის სულიერ შევნიერების განმხრწნელ და შეშარცხვენელ აზრთა სიბნელის ცთომას. რადენიც გინდა იომო ამპარტაენების წინააღმდეგ და სიმდიდრის უფსკრულში ჩაძვრე, მაინც იგი ამოგფარებია ზურგს უკან. ამ სიმდაბლის ქვესკნელშია და შენი მოქმედების მოწონებით თავის საწადელს წვდება. როგორც აზრდილი თავისა, ესეცა თანსდევს ადამიანს მის სიცოცხლეში.

ამპარტაენება ისეთი დახელოვნებული მხატვარია, რომ ყოველ მხრივ შენს უშვერებას სადღაც ისე წარიპარავს, ხსოვნადც არა გაუფლავებს და ამ დროს შენს სურათს ისეთი შევნიერებით დახატავს, რომ შენ თავ-მოწონებას ფრთებს შეასხამს. ისეთი საუცხოო მხაკვარ-მხატვარია ეს სულის დამღუპავი ამპარტაენება, რომ რაც ნამდვილად ხარ იმას შორს გადაისვრის და რაც არა ხარ, იმას შეგაჩეჩებს ძვირფას სურათად ხელში. ამნაირად ამპარტაენება უძნელებს ადამიანს საკუთარ თავის ცნობას, აძლევს თავის ნაკლულევანება-ღირსების ყალბ ანგარიშს და ამნაირად წინ ელობება კაცის წინსლვასა და სულიერად ამაღლებას.

ამპარტაენებასაც აქვს განრჩევა თითოეულ კაცში. ზოგი ორთა შუა დვას. რასაკვირველია აქვს ამპარტაენება, მაგრამ ამასთანავე გრძნობს თავის სიამაყეს, ცნობილობს ამგვარ ხასიათის უშვერებას, ცდილობს სიმდაბლის გზით ზიზღით განიკითხოხ თავის გულის ზევაი თვისება, წუხს და ნანობს. ხოლო არის ისეთი ამპარტაენი, რომელიც მის სიამაყეს საზღვარს არ უღებს,

არა აქვს თავის განკითხვა, სრულიად არ ეკარება მას სიმდაბლის ფიქრები, უკადრისობას, თავ-მოწონებას და დიდ-რამედ თავის წარმოდგენას ისე შთაუნთქავს, რომ მისი ბუნებური სისაწყლვე და სიგლახავე ყოვლადვე დაიწყებია და სხვა არსება, რაღაც ცად ამალღებულნი გონია თავის თავი. პირველი ადამიანურ თვისების სასწორზე დგას და მუშაკია სათნოებისა, ხოლო მეორე ცალ მხრივად დამძიმებულია, სასწორი მისი ერთ-მხარედ ჩაძირულია ქვესენლად და მას გონია თავისთავი ზეაღფრენილ ყოველ კაცთა უმაღლესად. ესე ვითარი მუშაკი არს საცთურებისა სიმორატისა; ყოველ ჟამს მოსალოდნელია მის თავზე საბრზე დასაღუპავი ამპარტავენების საყვარელ ძისგან, რომელ არს მრისხანება. ეს სულიერი სენი, რისხვა, არის ამპარტავენების ნაშობი, რომლის სისასტიკე მეხისებურ ძლიერებით გამანადგურებელია სულიერ არსებათა შორის ყოველივე სიკეთისა. ამპარტავენება შობს მრისხანებას, ხოლო მრისხანება ათრობს ადამიანის გონებას და მიზეზია მოუფიქრებელ და განუსჯელ მოქმედებათა. ამპარტავენება და მრისხანება მძინეარე მტერია ადამიანთა შორის სიყვარულისა და წყაროა სიძულილისა და განხეთქილებისა. კიდევ ამით არის ამპარტავენება საშინელი სენი რომ მისი შედეგი, გინა ნაშობი მრისხანება ბრახ-მოსულ რისხვით შემუსრავს მოყვარესა მისსა, რაზედაც საღმრთო წერილი ესრეთ იტყვის: „ამპარტავენთა ღმერთი შემუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“. ამპარტავენთა მოქმედების შედეგი შემუსრავა, ხოლო მდაბლის შრომათა შედეგი მადლია და სულიერი ამაღლება. თუ ადამიანი კერძოდ თავის და საზოგადოდ კაცობრობის სულიერი წინსღვისა და ამაღლების მოსურნეა, ცხოვრების გაბედნიერებისთვის მუშაკობს. დაუძინებლად უნდა ებრძოდეს თვის შორის ამპარტავენებას, თავ-მოწონებას დაულაღივად უნდა იცავდეს თავის თავს, რომ არ შემოესიოს მრისხანება. ადამიანის ცხოვრებას ბოროტების მუშაკნი ყოველთვის სიბნელეს უმრავლებდენ და ეს მღერი მდინარე ისე გადიდდა და გართულდა გახელოვნებულ პირობებში, რომ დღეს დიდი კკუა,

დიდი სიფრთხილე და თავის შებრძოლებით მოთმინება სჭირია ზნეობის პატივმცემელ ადამიანს, რომ დაიცავს თავი თვისი გარშემოღებულ ბოროტ-მოქმედებათაგან, რომ თან არ ჩაიყოლიოს და წაღეკოს ამ ბოროტ მოქმედების მღერი მდინარემ. ადამიანის გონება რასაკვირველია ვითარდება სწავლა მეცნიერებით, მაგრამ ამასთანავე ნუ დავივიწყებთ რომ ვითარდება იგი ეშმაკულ თვისებებშიაც უფრო დახელოვნებით, რომლითა ზნეობრივ ადამიანს თანდათან უძნელდება პიროვნების ღირსეულად დაცვა სიმშვიდისა და სიმდაბლის შვენეირებით. ამისგამო რაც უნდა მონდომებული ვიყოთ ზნეობის მუშაკნი, მაინც ხანდისხან გარემოგვიცვენ ცბიერთა და მხაკვართა მიერ ბოროტ-მოქმედობითი მოვლენანი და ძალაუნებურად ვუძღურდებით გონებით, ვლელდებით გულით და აღგვიტაცებს ამპარტავენების ძვირფასი შეილი მრისხანება, რომლითა ოხრდება ჩვენი სულის შევნიერი წალკოტი და ძოვენ მას ბრანგენი და ეშენი. ვაი რა საცოდავი სანახავია ამ დროს ჩვენი შინაგანი სამოთხე! ასეთ სულიერ გრიგალთა მიერ მრავალგზის ვიქმენ აღტაცილი სიბნელის ჰაერით და გადასროლილ სულთ-მხუთავ დიღევში. შესაძლოა ვინმეს ფიქრად მოუვიდეს, რომ დიდ-კაცობა და თავ-მდაბლობა ერთად როგორ შეზავდებაო. ნუვის ატყუებს ასეთი ყალიბი თავის-მოყვარეობა. სიმდაბლე კი არ აკნინებს ადამიანს, პირიქით, ამაღლებს კაცთა შორის და სასიყვარულო თვისებით ხიბლავს მისდამი ადამიანებს. მახსოვს ერთი საყურადღებო შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში. ერთხელ, მორჩილობის დროს, ქუთაისში მივდიოდი მატარებლით, სამტრედიის სადგურზე ქუთაისის მიმავალ მატარებელში გადავიტანე ხურჯინი და ჩამადანი. უცებ ერთ სკამზე დავაწყე და ზეით საბარგო თაროზე უნდა ჩამომეწყო. შევნიშნე, აქ ზის ვინმე დიდად-დაჯილდოებული პირი. ის იყო უნდა აშელო ხურჯინი, უცებ წამოდგა ეს დიდებული პირი, სტაცა ხელი ჩემს ბარგსა და ზეით ჩამოღვა. გაკვირებამ შემიპყრო და არა მე თუ მარტო, არამედ ყველა მხრომარე პირებიც უჩვე-

ულო თავმდაბლობის დანახვამ, მეტადრე ასეთი შესანიშნავად გულ-მკერდ სხვა-და-სხვა ღირსების ჯვრებით დაფენილ და მხარ-ჩინოსან დიდებულ პირისამან, განკვირვებაში მოიყვანა და ყველანი ქებას ასხამდნ მას. ასეთია სიმდაბლის სიმაღლე და პატივისცემა. ნუ თუ ამ დიდებულ პირს რამე ნაკლი დასდო ან დამკირება მოაგო ასეთმა მისმა თავ-მდაბლობამ? უფრორე აღიდა და აღამაღლა.

ალექსი ბერი.

ეპისკოპოსის გერმანის ექსორციაციის ადგილი.

გროდნოს გუბერნიის ქალაქ სლონიმის 10 ვერსის მანძილზე მოშორებით მდებარეობს პატარა სავაჭრო დაბა ჟიროვიცი — დღევანდელი საცხოვრებელი ადგილი განრისხულ ეპისკოპოს გერმოგენისა.

იყო დრო, როცა ჟიროვიცი წარმოადგენდა მთელი ბელორუსიის სარწმუნოებრივ ცხოვრების დედაფუძეს; იყვნენ დღენი, როცა ათიათასობით თავს იყრიდა აქ მლოცველები, აქვე ხშირათ და განძრახ მოდიოდნ პოლონეთის მეფეები. იმ დროს მონასტრის ხელში დიდი სიმდიდრე იყო, ხოლო მისი კაპიტულის დადგენილებას ვადამწყვეტი ძალა ჰქონდა მთელი ბელორუსიის და ლიტვის ბედ-იღბალზე. მაგრამ დრონი იცვალენ. მონასტერი მოესწრო თავის დიდებისა და ძლიერების გაქარწყლებას. მისმა ახალმა ბედისწრის გამგეებმა შიშვე ხელი დაადვეს ძველ უნიატების მონასტერს. მსწავლელობა წმ. ბასილის ძმებმა ადგილი დაუთმეს რუს მართლმადიდებელ ბერებს. სიმდიდრე, რაც ჰქონდა წაართვეს. მონასტრის დიდება ჩაქრა. რამდენიმე ათი წლის შემდეგ ეს განრისხული მონასტერი განრისხულ ეპისკოპოსის ბინათ ხთება. თუ მისი მეუფება სამღვთო ფიქრს ჩვეულოა, მაშინ აქ უფრო, ვიდრე სხვაგან, მიხვთება იგი ამა წუთისოფლის ამოკებას. რამდენათ მუხთა-ლია და გარდამავალი დიდება და ძლიერება, და რამდენათ მართალი იყო ბიბლიის ფილო-

სოფოსი, რომელმაც სთქვა: „ამაო ამათა და ყოველივე ამაო“!

ლიტვის თავადის კაზიმირ იაგელონოვიჩის დროს ის ადგილი, სადაც ახლა დ. ჟიროვიცია გაუვალ ხელშეუხლებელ ტყეს წარმოადგენდა. მისი მფლობელი იყო ლიტველი მეფის კარის კაცი, სარწმუნოებით მართლმადიდებელი, ალექსანდრე სოლტანი. 1470 წ. მწყესებმა, რომლებიც ცხვრებს ამოებდნ პატარა ნაკადული ვიკლის ნაპირზე, შენიშნეს არა ჩვეულებრივი ბრწყინვალება, რომელიც გამოდიოდა ერთ მსხლის ტოტებიდან. როდესაც, ამ მოვლენით დაინტერესებულნი, იგინი მივიდნ ახლოს, ნახეს პატარა მომრგვლო ღვთისმშობლის ხატი. ნათელი სწორეთ ამ ხატიდან გამოდიოდა. მწყესებმა ეს ხატი ბატონს მიართვეს. მან შეანახინა იგი ყუთში. როცა მეორე დღეს ეს ყუთი გახსნეს, ხატი აღარ აღმოჩნდა. შემდეგ ისევ იმ მწყესებმა იმავე ადგილზე ნახეს იგი მსხლის ხეზე. ცოტა ხნის შემდეგ ამ ადგილზე სოლტანმა ხის ეკლესია ააგო და შიგ დაასვენა ღვთისმშობლის ხატი. მალე სოფელიც გაშენდა ამ ადგილზე. 1560 წ. ცეცხლმა გაანადგურა სოფელიც და ეკლესიაც. ფიქრობდნ ვითომ ხატი დამწვარიყოს, მაგრამ ხატი სასწაულებრივ დაუბრუნდა ისევ ჟიროვიცას. ერთხელ, როცა გლეხის პატარა ბავშები შინ ბრუნდებოდნ, მთის ძირში ცეცხლა პირს შენიშნეს ქვაზე მჯდომარე გამოუთქმელი მშვენების ქალწული; ბრწყინვალება ეფინებოდა იქაურობას მისგან. ბავშვებმა ეს ამბავი ღვლელს შეატყობინეს და როცა იგი მოვიდა იმ ადგილზე, ნახეს ხატი და მის წინ ანთებული სანთელი. მღვდელმა შეაგროვა ხალხი და დიდებით გადმოასვენა ხატი თავის სახლში. ცოტა ხნის შემდეგ მას აუღეს ქვიტყირის ეკლესია...

1839 წ. მონასტერი მართლმადიდებლათ შეიქნა, მხოლოდ შეინარჩუნა თავის ძველი სახელი წმ. მიძინებისა.

კვირილამ-კვირიამდე.

ქალაქ სამარის ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლ ექიმთა საზოგადოების სექციას გამოუკვლევია, რომ სამარის გუბერნიაში 1910 წელს 22 მილიონი მანეთის არაყი დაუღვავიათ!!

თვით სამარაში ლოთობა უზომოთ იზრდება: 1908 წ. ქალაქის პოლიციას დაუჭერია გამოსაფხიზლებლად 9000 შთვრალი კაცი, 1909 წ. 10300, ხოლო 1910 მხოლოდ 10 თვის განმავლობაში 11000.

სინოდს უკან დაუბრუნებია კანონპროექტი შესახებ კონსისტორიებში ძირითად ცვლილებების მოხდენისა. ამის შესახებ საბიუჯეტო კომისიაში საბლერს შემდეგი გაუცხადებია: „ძირითადი ცვლილებების შეტანა კონსისტორიის წესწყობილებაში ახლოს არის დაკავშირებული იმ საკითხთან, თუ როგორ იქნება დაყენებული ეკლესიის მართვა. გამგეობის საქმე ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე, — სანამდისაც ღმერთმა მიგვახწევინოს, — მიტომ რომ კრებას შეუძლია დასდევას საფუძველი ადგილობრივ საეკლესიო მართვა-გამგეობის ორგანოების გადაკეთებისათვის.

განქორწინების შესახებ საბლერმა შემდეგი განაცხადა: — განქორწინების პროცესი კონსისტორიების მოღვაწეობის ერთ უბნელეს მხარეს შეადგენს. ჯერ კიდევ 1902 წ. აღიძრა საკითხი შესახებ იმისა, რომ ყველა საქმეები შესახებ შრუშებისა და მისი დასამტკიცებელი საბუთებისა გადაეცეს სისხლის სამართლის სამსჯავროში, და ამ მხრივ კიდევ ეცნობა იუსტიციის მინისტრს, მაგრამ 1908 წ. ეს განზრახვა უკანვე დაბრუნებულ იქმნა, და მე ვალად ვიდგენ ეს დაწესებული საქმე ხელახლა აღვიძრა. ჩემი ღრმა რწმენით ეკლესიას უნდა დარჩეს განქორწინების მსურველთა შეგონების და შერიგების უფლება, და კიდევ უფლება სისხლის სამართლის სამსჯავროს განჩინების მიხედვით ამა თუ იმ დადგენილების გამოტანისა,

(Y. P. № 31)

სინოდთან დაარსებულა განსაკუთრებული კომისია, სამღვდელოების საშრომელის (Божия-гражданин) არსებული წესის შეცვლის შესახებ.

არქივპ. ანტონ ვოლინელს კომისიისათვის მოხსენება წარუდგენია, რომელშიდაც აღნიშნავს, რომ სოფლის სამღვდელოების მდგომარეობა მძიმეა და დამამკირებელი და წინადადებას აძლევს სინოდს ნება მიეცეს ეპარქიის ღვდელმთავრებს საშრომელი მისცენ სამღვდელოებას სინოდის წინდაწინ დაუკითხავად.

ამ თებერვლის თვეში ქალაქ ქუთაისის საავთიმყოფოში გარდაიცვალა ჯრუჭის (შორაპნის მაზრა) მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გრიგოლი. გვაში გელათში დაკრძალეს.

ამავე თებერვლის 12 რიცხვს გადაიცვალა სოფ. მალაკის მღვდ. ტარასი ტყეშელაშვილი. ეს ორი ახლად გარდაცვალბულნი ორივე ყოვლადსამღვდლო ეპისკოპოს გაბრიელს მსახურებდნენ ერთი, არხ. გრიგოლი, როგორც ეკონომოსი და მეორე იპოდიაკონი და შემდეგ მეორე დიაკონი.

პატრიარხოზა რუსეთში. საეკლესიო წრეებში ლაპარაკობენ, რომ ვ. კ. საბლერის ხელმძღვანელობით უწ. სინოდში მუშაედება პროექტი რუსეთში პატრიარხოზის დაარსებისა. ამის შესახებ საგანგებო დანიშნულებისამებრ კვირაში ერთჯერ არის სხდომა. პატრიარქის ადგილზე კანდიდატათ ასახელებენ კიევის მიტროპოლიტს ფლაბიანეს.

(Y. P.)

ილიოდორეს მონასტრის დახურვა. ერთმა ილიოდორეს მსხვილმა მოწინააღმდეგემ მღვდელმა სტროკოვმა ტელეგრაფით დანიშნულება მიიღო შესახებ ილიოდორის მონასტრის მართვა-გამგეობის ჩაბარებისა, ამავე დროს სტროკოვი ბრძანებას ღებულობს ქორეპისკოპოს დოსითეოსისაგან დახუროს მონასტერი და

ზომები მიიღოს მონასტრიდან ილიოდორეს მო-
თაყვანეთა გაძევების შესახებ,

ცარიცინი. მონასტერი დაიხურა. იქ მყოფი ილიოდორეს მომხრეები დაითხოვეს. ახლად მოსულებს პოლიცია არ უშვებს. მონასტერთან იკრიბებიან ილიოდორეს მომხრეები და დემონსტრაციულად გალობენ საეკლესიო საგალობლებს. ემუქრებიან ქალაქის სამღვდლოებს, რომელმაც მართებლობის განკარგულებით დახურა მონასტერი.

მონასტრის დახურვის შემდეგ განკარგულება მოვიდა ილიოდორეს დაახლოებულ მეგობრის მღვდ. ეგოროვის ქალაქ კუზნეცკში გადაყვანის შესახებ.

როგორც ეტყობა, ილიოდორი არც თავის მონასტერში ყოფილა კაი კაცი. „ჩვენ, — ამბობს ერთი მონასტრის ძმთაგანი, — იმდენათ ღმერთს არ ვემსახურებოდით, რამდენათ ილიოდორეს ავათმყოფ ზვაობას. თავის პატრიოტულ გამოსვლაში ილიოდორე ძმობას სრულებით არ უწყევდა ანგარიშს. მონასტრის საქმეებს თითონ პირადათ განაგებდა და არავისგან რჩევას და წინააღმდეგ ლაპარაკს არ ღებულობდა, ამიტომ მონასტერში ილიოდორესი უფრო ემინოდათ, ვიდრე უყვარდათ და პატივსცემდნენ.“

წერილი

ივერის მონასტრის გამო ათონში.

წასული წლის „შინაური საქმეების“ მე 28 №-ში დაიბეჭდა წერილი ამ სათაურით: „დაკარგული დიდება“, რომლის ავტორიც მამულისშვილური გრძნობით დასტირის ჩვენს ბედშობას და მოგვიწოდებს ამ დიდებული დაკარგული განძის კვლავ დაბრუნებისათვის. სამართლიანად აღნიშნავს ხსენებული წერილის ავტორი ჩვენს დაუდევრობას და უზრუნველობას თანამედროვე ხანაში ყოველივე საქმეებში, რომლებიც დაუოენებაც საუკუნოდ დაღუპვის გვიქადის. წელს ავადმყოფობისაგან

ცემში (ბორჯომის ხეობა) მომიხდა ერთი თვით დარჩენა და შემთხვევა მქონდა, მენახა საფარის წმ. საბას დიდებული მონასტერი და ტიმოთის უბნის ღვთისმშობლის მიძინების შესანიშნავი ტაძარი. რომელთა ჩვენი დიდებული წასულის მოგონებასთან ერთად, სამსალაც ბევრი მასვა და გულს ისარი დამასო თავის უნუგეშო მდგომარეობით ამ ყამად. ერთი უკვე ჩვენს ხელში აღარ არის და მეორეც დღეს თუ ხვალ ხელიდან გამოგვეცლება, თუ ჩვენ შორის მადლიანი არაიენ აღმოჩნდა და ამ ეროვნულ განძს პატრონობა არ გაუწია. რა პატრონობა და თავის გამოდება მოვთხოვოთ იმ ხალხს შორეული განძის შესახებ, რომელიც იმასაც კი არ პატრონობს ჯეროვნად და ხელიდან უშვებს, რაც უშრომლად მამა-პაპაგან ნაანდერძებია და მარად ყამთა თვალწინ გვიდგია. იმდენათ ამაში არ არის დამნაშავე ქართველთა ერის საერო წოდება, რამდენათაც სამღვდლოება, ვინაიდან იგი უნდა იყოს თავგამოდებული ამისთანა საქმეებზედ და ცოტათი მაინც ასრულებდეს თავის დიად დანიშნულებას, მაგრამ რას ეხედათ?... ამის საპასუხოთ მიუთითებთ ბბ. მკითხველთ „კოლხიდაში“ დასტამებულ ბ. იპ. ვართავავს წერილზე ამ სათაურით: „რა გვაკლია“... „დაკარგული დიდების“ ავტორი სხვათა შორის გვაძენებს: „რომ ქართველი ძმებიც თავის მხრით, რაც შეიძლება, ცდილობენ არ დაუთმონ ბერძნებს და ის ჩვენი ძველი დიდებაც დაიბრუნონ; მათი მეცადინეობით დღეს იმ ზომამდეა საქმე მისული, რომ ბერძნები თიქმის იძულებულნი არიან შეურიგდნენ ქართველებს და ადგილი მისცენ მათ დედა მონასტერში, როგორც თანასწორებსაო“ აი ამის შესახებ მინდა ჩვენებს ერთი ფრიალ საყურადღებო რამ მოვახსენო, რომელიც ხელთ მიჭირავს და აქნამდის კი სხვა და სხვა გარემოებისა გამო ვერ გამოვიარებია „შინაური საქმეების“ მკითხველთათვის. რამოდენიმე წლის წინათ ერთი ჩემი ახლო ნათესავი უშალღესი სწავლის მისაღებათ გაემგზავრა შვეიცარიაში. ვინაიდან ჯანმრთელობა და გამბედაობა ხელს უწყობდა, ამისათვის მან გადასწყვიტა ემგზავრა ბათუმიდან შავი-ზღვით,

დარდანელის სრუტეზე გავლით ვენეციამდის და მერე იქილგან რკინის გზით შვეიცარიამდის. ვინაიდან დიდად მენიტერესებოდა სტამბოლის ქართველ-კათოლიკეთა ძმების და მათი მონასტრის, შკოლის და ბიბლიოთეკის საქმეები და აგრეთვე ძველ ათონზედ ივერიის მონასტრის ბედ-იბლის საქმე და იქაურ ქართველ ძმათა მდგომარეობა, ამისთვის მე ესთხოვე ჩემს ნათესავს, რომ 2-3 დღე გაჩერებულიყო სტამბოლში და ათონის მთაზე, და ყოველ ამავების შესახებ უტყუარი და სწორი ცნობები მოეწერა ჩემთვის. ჩემი ნათესავი შეპირდა ამ თხოვნის შესრულებას, რომლემაც პირნათლათ შეასრულა ყველა ჩემი დავალებანი; მან ხუთამდის წერილი მიძღვნა, რომელთაგან ერთ-ერთი წერილი სწორეთ პირ-დაპირ ეხება ქართველ მღვდელ-მონაზვნების ცხოვრებას და ივერიის მონასტრის ახლანდელ მდგომარეობას, რომელიც აქვე სიტყვა-სიტყვით მომყავს: „ათონის მთაზედ, რომელსაც 100 და 20 ვერსი სიგრძე-სიგანე აქვს, ოცამდეა მონასტერი; „ივეროს“ მესამე ადგილი უჭირავს დღესაც ღირსებით, უფლებით და სიმდიდრითაც. მონასტერი დღეს, იცი, ბერძენების ხელშია ჩვენებს მხოლოდ პატარა სავანე „კელია“ გაუშენებიათ მონასტრიდან ნაყიდ ადგილზე ამ ორმოცი წლის წინათ. დღეს იქ 35 ქართველი ბერი ცხოვრობს; სავანეს აქვს რვა ქცევა ვენახით და ზეთის ხილით გაშენებული ადგილი. ყველასფერი ეს დღეს 200 ათასი მანეთი მაინც ღირს... ამის გაშენების მიზანი ყოფილა მონასტერთან თანდათან მიჩოჩება და ბოლოს მისი ამოგება. ერთ დროს კიდევაც დაუწყიათ საჩივარი, მარა შეჩერებულა. ეს საჩივარი ვითომ დღესაც წარმოებს. მოითხოვენ ჩვენი ბერები დღეს სულ ოცტას, კელიას მაგიერ სკიტე მოგვეცითო, მარა ბერძენები არც ამას იძლევიან. ამიტომ ეს ერთი წელიწადია რუსეთის წარმომადგენელი სტამბოლის ჩვენების თხოვნით მონასტრის წარმომადგენელს არ უშვებენ მოსკოვის მაშულში, საიდგანაც მონასტერს 50 ათასი მან. შემოდის წლიურად. ამით, ვითომ, უნდათ აიძულონ ბერძენები, სკოტბა მაინც მისცენ ქართველებს, მარა ბერძენები მაინც თავისას არ იშლიან;

კიდევაც სულაც რომ წაიღონ მოსკოვი, ჩვენ მაინც ვერას მივსცემთ მაგათ, რადგან ჯერ ერთი, მაგენი მთელი ქართველების მაგიერ არ მიიღებიან და მეორეც მაგათ უკან სხვები დგანან, და ისინი მაგათაც ზე ჩვენც წაგვართმევენო; თორემ ქართველების აშენებული რო არის მონასტერი და ისინი ძმათ მოგვხედებიან ამას ვინ უარს ყოფსო; დაგვარწმუნონ, მოგვცენ გარანტიები და ნახევარში ძმა არიანო. ასე ამბობს თვით პატრიარხი, ასე ამბობენ თვით მონასტერშიც. უმეტესობა შეიძლება დღევანდელი მდგომარეობით სარგებლობს და ამას იმიტომ ამბობს... მიუხედავთ უზერხული დღევანდელი მდგომარეობისა ამის გამოკვლევა კი შეიძლება, თუ ვისმეს უნდა ამ დაკარგული სიმდიდრით სარგებლობა ხალხისათვის... შეიძლება გაქვს გაგებული, რომ ხსენებული სავანის დამაარსებელი ბენედიქტე ბარკალია დღეს ჩვენშია და ერთი კაპიტალისტთაგანია... 60 ათასი მან. ნაღდი ფული აქვს წამოღებული სავანიდან. ცნობილი ქუთაისის ვაჭარიც ამის ფულით გაკაპიტალისტებულა. დღეს კიდევ სავანე 260 ათასის ადგილზეა და რომ სხვა ადამიანი ყ ლოდა სათავეში, სამი მილიონიც ადვილათ ექნებოდა ბანკში; დღეს კი შეიძლება „ახალი“ კეხი შეადგას ჩვენს ხალხს ამ სავანეში, თუ არავინ მიეშველა!!!!... იწყება კი რალაოა ზე ვნახოთ... თვით მონასტერში ბერძენებს შორის შეტაკება მოხდა და, ვინ იცის, როდის დამშვიდდებიან!...“

საურველია რომ საქმეს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს ჩვენი ერის მოწინავე პირები ზე პრესის საშუალებით ყოველივეს გამოარკვევდეს, რადგანაც, როგორც ზემოთ მოყვანილ წერილიდან სჩანს, დახანება ამ საქმეს დიდად აენებს, თუ გვინდა, რომ მის დაბრუნებაზე ოცნებობა სინამდვილეთ ვაქციოთ.

მღუდელა ვლადიმერ მაქარაშვილი.

საფ. კარბაული.

28 ნოემბერი 1911 წელს

რას გვჭირენ?

სამეგრელოს სამღვდლოების რწმუნე-
ბულთა კრება დ. ახალ-სენაკში.

წასული წლის 22 ნოემბერს მოხდა სამე-
გრელოს სამღვდლოების რწმუნებულთა კრება
დ. ახალ-სენაკში. კრებაზე ბევრი სხვა და სხვა
საკითხები აღიძრა, მაგრამ მე მსურს მოველა-
პარაკო პატივცემულ მკითხველს იმაზე, თუ რა
აზრით შეეგება კრება ეპარქიალური საქაღებო
სასწავლებლის გახსნას სამეგრელოში.

აგერ სამი წელიწადია, რაც სამეგრელოს სა-
მღვდლოებაში აღიძრა სურვილი ეპარქიალური
საქაღებო სასწავლებლის გახსნის შესახებ. 1909
წლის სამეგრელოს სამღვდლოების რწმუნებუ-
ლთა კრებამ მიანდო მ. მ. დევ. კლემ. ჭანტუ-
რიას და მღედ. ი. ბობოხიძეს შეემუშავებიათ
ანგარიში თუ რა ხარჯს მოითხოვდა ეს სასწა-
ვლებელი. მოხსენებულმა პირებმა 1910 წლის
კრებას წარუდგინეს აღნიშნული ანგარიში, რაც
კრებამ განიხილა, მოიწონა და მიიღო კიდევ.
ახლა კითხვა იმაზე იყო, თუ სად უნდა გახსნი-
ლიყო ეს სასწავლებელი. კრებამ მიზანში დ.
ახალ-სენაკი ამოიღო, თუ კი იგი რამე ნივ-
თიურ დახმარებას გაუწევდა სამღვდლოებას ამ
საქმეში. ახალ-სენაკელებიც ბევრ-რამეს შეპირ-
დნ სამღვდლოებას, მაგრამ შეწირულობის
გაღების პირობებში ვერ შეთანხმდნ და საკი-
თხი ისევ სახითხად დარჩა. ესევე საკითხი
იქმნა წამოყენებული წასული წლის ეპარქია-
ლურ კრებაზედაც ქ. ფოთში, რომ იქ გახს-
ნილიყო აღნიშნული სასწავლებელი, მაგრამ
აქ დიდი ლაპარაკი და კინკლაობა გამოიწვია
ამ საგანმა: ზოგი ამბობდა ფოთი განაპირა ად-
გილიაო, ზოგი იქაურ ჰაეას წუნობდა და სხვა.
მაგრამ საერთოდ კი გადაწყვიტეს ქ. ფოთში
დაეარსებიათ ეს სასწავლებელი როგორც მოსა-
ლოდნელი იყო, ყოვლად სამღვდლო ლეონიძმა
შეუფარდა კერძოდ კრების და საზოგადოთ
მოწილი სამღვდლოების კერძო მსჯელობა კრების
ოპიკიალურ დადგენილობას ქ. ფოთში სასწა-
ვლებლის დაარსების შესახებ და დროებით შე-

აჩრა საქმე იმ განზრახვით, რომ თუ სამღ-
ვდლოება სხვა მოხერხებულ ადგილს მონახავდა
ამ საქმისათვის, მათი მეუფება უარს არ ეტყოდა.
აი აღმოჩნდა მესამე ადგილიც, დ. ძველ-სენაკი.
ყოვლად სამღვდლო ლეონიძმა მიიღო შუა-
მდგომლობა ძველი-სენაკის საზოგადოებისა, რო-
მელმაც თავის ოფიციალურ დადგენილობაში
გამოხატა, რომ თუ სამეგრელოს სამღვდლოება
განზრახულ ეპარქიალურ სასწავლებელს დაარ-
სებდა დ. ძველ-სენაკში, ძველ-სენაკის საზოგა-
დოება შეწირავდა ამ საქმეს ნაღდად ათი ათას
მანეთს, ხუთ ქტევა მიწას შენობის დასადგამად
და შენობისათვის საჭარო ქვას, კირს და ქვი-
შას, გარდა ამისა, სასწავლებლისთვის საკუთარი
შენობის აღშენებამდე, სამი წლით, უსასყიდლოდ
დაუთმობდა სახლსაც სასწავლებლისათვის. მა-
თმა მეუფებამ წინადადება მისცა აღნიშნულ
კრებას, რომ მსჯელობა ექონებიათ ძველ-სენაკის
შუამდგომლობაზედაც 24 ნოემბ. სამეგრელოს
სამღვდლოების რწმუნებულთა კრებამ (გურიის
სამღვდლოება არ ურევია) ერთ-ხმად დაადგინა:
აღიძრას შუამდგომლობა ამ სასწავლებლის ძველ-
სენაკში გახსნის შესახებ, ხოლო აღნიშნული
შეწირულობა მოეთხოვოს დ. ძველ-სენაკის
მცხოვრებთ ძმებს ბ. ბ. გიორგი და ანდრი
ლევანის ძე ქავთარაძეებს, რომელთაც ითავეს,
საზოგადოების მხრით, ამ საკითხზე შუამდგომ-
ლობის აღედრა მთავრობის წინაშე. — 1)

ძმ. ქავთარაძეებმა იკისრეს კრების მოთ-
ხოვნის შესრულება და აწი მგონი შორს არ
იქმნეს ის დრო, რომ სამეგრელოს სამღვდლო-
ება ეღირსოს სასურველ სასწავლებელს.

ამ საქმესთან ერთად აღსანიშნავია სამი გარე-
მოება. პირველი, რომ გამოყოფილმა ნაწილმა-
სამეგრელოს ღარიბ და მცირე-რიცხვოვან სამ-
ღვდლოებამ გული გაუსსნა ხალისით შეეგება ამ

*) ძ. — სენაკის საზოგადოება, თავის განაჩენით,
ხუთი წლის ვადით ჰპირდებოდა სამღვდლოებას თავის
შეწირულობის შეტანას, მაგრამ ეს კრებამ არ მიიღო
და მოსთხოვა ძმ. ქავთარაძეებს, რომ დაპირებული შეწი-
რულობა გაენადლებიათ, ხოლო სოფლის „პრიგოვარი“
მათ ხსარგებლად მიექციათ.

დიად საქმეს; მეორე, ძველ-სენაკის საზოგადოებაში გამოიჩინა მოქალაქობრივი სიმწიფე და ასე დიდი შეწირულობის განაჩენით გვერდში ამოუდგა სამღვდლოებას და მესამე, ძმები ქაეთარაძეები ამ ორ მხარეთა შუაში ჩადგან და საქმეც სასურველად მოაწეს-რიგეს. — უსურვებთ სამთავეს გამარჯვებას.

კ. წუთისოფელი.

გურიის სამღვდლოების რწმუნებულთა კრება.

გასული წლის ოქტომბრის თვის დამღვეს კ. ოზურგეთში მოხდა გურიის სამღვდლოების დეპუტატთა მორიგი კრება, რომელის განსახილველად ჰქონდა სასულიერო სასწავლებლის ხარჯთ აღრიცხვა მომავალი წლისთვის და საკითხები: სასწავლებლის შენობის აგებისა და ერთხელ დახურული უმფროს მოსამზადებელი განყოფილების კვლავ გახსნის შესახებ. კრებამ ხარჯთ აღრიცხვის განხილვის შემდეგ იქონია მსჯელობა პირველ საკითხზე და დაადგინა შენობის აგება იმ ფულებით, რომელიც მიიღო სამღვდლოებამ დამზღვევი საზოგადოებისაგან 1909 წელს სასწავლებლის შენობის დაწვის შემდეგ. თუ მივიღებთ სახეში გურიის სამღვდლოების მცირე რიცხოვნებას, შევიწროებულ მდგომარეობას და ნივთიერ ხელმოკლეობას, ეს დადგენილება კრების შეუსაბამო არ არის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასე შეხედავს ამას სასულიერო მთავრობაც, და არ მოსთხოვს სამღვდლოებას ისეთი მძიმე ტვირთის აღებას, რომლის ზიდვას ვერ შესძლებს ის. მეორე საკითხის შესახებ კრებამ გამოიტანა დადგენილება თანახმად სასწავლებლის მმართველობის მოთხოვნილებისა, ესე იგი გახსნა მესამე მოსამზადებელი განყოფილება. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ მ. მ. დეპუტატები, რომ, ვითომც ამ განყოფილების უქონლობისა გამო შემცირებული იყოს სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი, საქმე იმაშია, რომ ამ უკანასკნელ ათი წლის გან-

მავობაში მოსწავლეთა რიცხვი სასულიერო სასწავლებელში თანდათან კლებულობს და ამ ბოლო წლებში იმათი რაოდენობა არ ასცილებია 60—70-ის. ზოგიერთ მღვდლებისა და სასწავლებლის სამმართველოს აზრით ეს გარემოება ვითომც მოსამზადებელი განყოფილების უმეკონლობისაგან იყო გამოწვეული. რასაკვირველია, ეს რომ მართალი აზრი იყოს, ასეთი დაბრკოლება ადვილი ასაცდენია თავიდან, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზები სულ სხვაა, სახელდობრ: სასულიერო სასწავლებლის პროგრამის შეუსაბამობა ეხლანდელ დროის მოთხოვნილებებთან, მისი წესწყობილება და რეჟიმი, აგრეთვე უფლების უქონლობა გურიის დასრულების შემდეგ სხვადასხვა სასწავლებელში შესვლაზე. ამიტომაც მოსწავლეთა რიცხვის შემცირება სასულიერო სასწავლებლებში საერთო მოვლენაა მთელ რუსეთში, რასაკვირველია შედარებით. ამითვე აიხსნება ისიც, რომ დიდი უმრავლესობა მღვდლების არ აბარებენ თავიანთ შეილებს ამ სასწავლებელში. ამ მიზეზებმა იქონიეს გავლენა კერძოდ გურიის სასწავლებელზედაც, თორემ გურიაში შეილების მომზადება სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში მისაღებათ ეხლა ძნელი არ არის, რადგანაც ეხლა ისეთ სოფელს ვერ ნახავთ აქ, რომ ორი თუ არა თითო ორკლასიანი სასწავლებელი რომ არ იყოს. და თუ სამოქალაქო სასწავლებელში მოსამზადებელი განყოფილების უქონლობამ ვერ შეამცირა რიცხვი მოსწავლეთა, რატომ ამ გარემოებამ ასე ცუდად იმოქმედა სასულიერო სასწავლებელზე. ამიტომ ჩემი აზრით, მოსამზადებელი განყოფილების გახსნა ჩვენ სასწავლებელში მიუცილებელი საჭიროებით გამოწვეული არ არის, და იმდენ სარგებლობას ვერ მოიტანს, რამდენათაც მძიმე ტვირთად დააწვევა იმის შენახვა მცირე რიცხოვან ლატაკ სამღვდლოებას გურიისას. ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალი გეოგრაფიკულ, თუ რომელი აზრი არის მართალი.

— კარგათ მოქცეულა კრება, რომ ყურადღება მიუქცევია ქართული გალობის ო-

მარეობაზე სასწავლებელში. როგორც ვიცით, ჩვენ სასულიერო სასწავლებელში სლავიანური გალობის სწავლება მოისპო და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა ქართული გალობის შესწავლას, თუმცა სამღვდლოებამ ჯამაგირი გაუღიდა ქართული გალობის მასწავლებელს, მათ წარმატება გალობის შესწავლის საქმეს იოტის ოდენათაც არ დასწენვია—სამწუხარო და სავალალო რომ არ იყოს ეს გარემოება თავისთავად, სამარცხენოც არის გალობის სამშობლო გურიის სასწავლებელში ვერ მოეწყოს გალობის სწავლება. გავიგეთ აგრეთვე, რომ ამ კრების დებუტატებს დაუდგენიათ ზოგიერთ ეკლესიებიდან ყოველწლიურათ გადასახადის ძლევა ეპარქიალური სამოსწავლო საბჭოს ოზურგეთის განყოფილების სასარგებლოთ. მე მგონია, ასეთი მათი დადგენილება აღემატება მათ უფლება მოსილებას, რადგან ისინი დანიშნულნი არიან მხოლოდ სასულიერო სასწავლებლის საქმეების გამო, ამასთან, გურიის სამღვდლოებამ დიდი ხანია მოუხერხებლად სცნა ეკლესიებიდან ხარჯის ღება ასეთი სხვა დაწესებულებების სასარგებლოთ, რადგანაც ეკლესიებიც ღარბია გურიაში და ხალხშიაც ეს გარემოება იწვევს უკმაყოფილებას. ესლა დებუტატებმა როგორ შეიტყველეს აზრი ამ საგანზე არ ვიცით.

მაგრამ მტკიცე ნიადაგზედ არიან დამყარებული ადგილობრივი მზრუნველის ბეჯითად მუშაობითა და მაცადინეობით.

ასეთ სკოლათა რიცხვს ეკუთვნის ხონის მაცხოვრის სამრევლო სკოლა, რომელიც დაარსებულ იქმნა 1899 წელს. პატარა ფიკრული ქოხი, რომელიც გარეგნობით ვერ იყო მნახველთა თვალთა წარმტაცი, თავისი ღრმა და სპეტაკ დანიშნულებით მშვენიერად ასრულებდა თავის დანიშნულებას ხალხის მიმართ.

და ეს კი უნდა მიეწეროს კეთილ-გონიერ, სარწმუნოებით აღჭურვილს და პატიოსან მზრუნველს სკოლისას, სილიბისტრო გვინცაძეს, რომელიც მთავრობამ დანიშნა მზრუნველათ—სკოლის დაარსების დღიდანვე.

სხენებული მზრუნველი—ბატ. გვინცაძე—გულ-რწმუნელათ შეუდგა სკოლის აყვავების საქმეს, რომელმაც ამ თორმეტი წლის განმავლობაში 500-600 მანეთი შეწირა; პატარა ქოხიდან გაკეთდა მშვენიერი სახლი—ნამდვილი სკოლის გეგმისა.

მან—სილიბისტრო გვინცაძემ, თავისი სავალეებით ერთი დიდი ზალა მიაშენა ძველ შენობას, გადახურა ყავრით, შეღება-შიგნით-ღ გარეთ თავისი შრომითა და საფასით და ამნაირად არარაიდგან შექმნა მშვენიერი სკოლა, სადაც დღეს 100 შაგირდი სწავლობს.

მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე გამგე სკოლისა მღვ. იოანე რუხაძე, მასწავლებლნი დანი შარაბიძენი, და ლეყავა, რომელნიც სკოლის წარმატებისთვის არ შურავენ ძალ-ღონეს, მაგრამ ყველაზე უფრო მადლობა კი თვით მზრუნველის ასულს—ხელ-საქმის მასწავლებელ ქალს—ქალბ. გვინცაძეს ეკუთვნის, რომელიც პირველ ორ წელს უსასყიდლოთ მუშაობდა.

გულით და სულით უსურვებ ჩვენ სამრევლო სკოლებს, რათა მზგავსი სილიბისტრო გვინცაძისა—მზრუნველთა რიცხვი გამრავლებულიყოს მათ შორის.

იმედია მთავრობა მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას ამ ღირსეული ადამიანს და ჯეროვნათ დააჯილდოვებს მას.

ხონის მაცხოვრის სამრევლო სკოლა და მისი წინ-სვლა.

საშინელ გაქვირებას განიცდინ ხოლმე საზოგადოათ ჩვენი სამრევლო სკოლები, როგორც უყურადღებოთ მიტოვებულნი ადგილობრივ მცხოვრებთა მხრით. რამდენათაც მთავრობა მის ზრდასა და წინ სვლას ხელს უწყობს, იმდენათ ზარბაძეთ ეპყრობა მას სოფლებები, რაც სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითეოდოს.

მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ არიან ცოტა რიცხოვანი სკოლები, რომელნიც თუმცა განსაკუთრებით გამოწადის შეადგენენ,

წერილი რედაქციისადმი.

მამო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ ვახეთ „შინაურ საქმეებში“ წერილი დაუბეჭდიათ 30 ოქტომბრიდან ბოსლევის სამრევლოს მღვდლის არჩენისა გამო. ეს წერილი მე გუშინდლამდის არ წამიკითხავს და მის დაწერას თურმე მე მამბრალეებენ, როგორც გუშინ ზესტაფონში შეხვედრის დროს მამა -ბესარიონ გველესიანიმაც კი გადმომცა ესა კაცხის ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველის ბ. ღვანიძის თანდასწრებით.—

ვინაიდან ამ წერილის ავტორი მე არა ვარ და ტყუილად მაწერენ მე მასა და საყვედურებსაც კი მითვლიან ზოგიერთები, ამისათვის გთხოვთ მამო რედაქტორო, ერთსა და ერთს უმახლობლეს „შინაურ საქმეების“ ნომერში გამოაცხადოთ, რომ მე მისი დამწერი არა ვარ, არამედ სხვაა, თუმცა ქვეშ მოწერილი კია ასო „ბ.“, რომლითაც ჩემი გვარი იწყება და შეიძლება ამას შეეყავდეს შეტყობაში ზოგიერთი მკითხველიც.—

ამასთან არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ეს უკვე გამოქვეყნებული წერილი თუმცა ცხადისაგან უცხადესად აღნიშნავს არა ნორმალურ პირობებს ჩვენში მღვდლის არჩენისას, მაგრამ მას მაინც ყურადღებას არ აქცევს არავინ, თითქო ყველას დაეიწყებოდეს ძვირფასი სიტყვები მაქსოვრისა: „ამინ, ამინ გეტყვი თქვენ, რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხვათ კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი, ხოლო რომელი შევალს კარით, მწყემსი არის ცხოვართა“.

ნუ თუ ეთანხმება ბლალოჩინი მ. დ. სუხიაშვილი ყველა იმას, რაც ამ წერილშია აღბეჭდილი? თუ ეს ყველა მან მართლად მიიმჩნია, მაშინ რა აზრი და რა ფიქრი უნდა გვქონდეს ჩვენ არჩეულებზე—ესეც ყველასათვის ცხადისაგან უცხადესია.

ნუ თუ ამ გვარი საქციელი ვისიმე იქნება შთაბნერგავი და განმამტკიცებელი საარწმუნოებისა ერთა შორის? ნუ თუ სიმართლის დაფარვით ჰგონიათ მოიპოვონ სიყვარული დღეთისა და ხალხისა?

„მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავით მოუხდების მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების! წამხთენელთა და მბაძველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების; ძრახვავე სჯობს საძრახავთა, ძრახვას კაცი მოუფთხების“.

მე კერძო პირი არავინ მყავს აქ სახეში და არც არავისთან პირადი ანგარიში არა მაქვს, რასაც თავათაც აღიარებენ, მხოლოდ ქეშმარიტებასა და სიმართლეს ვაყენებ ყველაფერზე და ყველაზე მალოა, ამიტომ იმედი მაქამ შემთხვევაში ვაჟკაცურ სიმამაცეს და გაბედულებას გამოიჩინენ სულიერი მამები ბლალოჩინი მ. დ. სუხიაშვილი, თანაშემწე მისი მ. გველესიანი და ის კანდიდატები, რომლებიც კენქს გარეშე დარჩენ და მოურიდებლად გამოამჟღავნებენ ყველაფერს, რაც იციან... მე კი ჯერ-ჯერობით ამით ვათავებ, და ქეშმარიტების აღდგენას ვანდობ ჩვენ სულიერ მამებს, ვინაიდან დრო არა მაქ სრულებით წერისათვის.—

ი. კაპანაძე.

რედაქტორი, მღვდელი ს. მჟებელიძე. გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

განცხადება

XX ქმარის სტამბაში XX

დაიბეჭდა მეტრიკის ამოწერილობის ბლანკები.

იყიდება იქვე.

სტამბა „ქმარა“

კახკოვის ქუჩა, № 17,

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეს ასრულებს დროზე და სუფთათ.

ფასები დაკლებულია.